# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ. ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

29 მაისი 2015 წ.

# განკარგულება №49

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გურამიშვილის ქ. N8-ში მდებარე შენობა-ნეგებობისა (9 ერთეული) და მასზედ დამაგრებული 11 118 კვ მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (უძრავი ქონების ს/კ- 28.01.23.122) საწყისი საპრივატიზებო საფასურის შემცირების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 38-ე მუხლის ,,წილების და აქციების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და მართვის უფლებით გადაცემის საწყისი საფასურის განსაზღვრის წესი“-სა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 თებერვლის N12 დადგენილების შესაბამისად

**საკრებულო ადგენს:**

1. მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული გურამიშვილის ქ. N8-ში მდებარე შენობა-ნეგებობისა (9 ერთეული) და მასზედ დამაგრებული 11 118 კვ მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (უძრავი ქონების ს/კ- 28.01.23.122) საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 63595 (სამოცდასამიათასხუთასოთხმოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით.
2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

*საკრებულოს თავმჯდომარე*

*ზაალ მამალაძე*